



BK2.Cor.Out-221111-01

თარიღი: 11.11.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ბახვისწყალზე დაგეგმილი ბახვი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს, 2022 წლის 4 ნოემბრის N21/6660 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. ინფორმაცია წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ, ცხრილის სახით, თან ერთვის წინამდებარე განაცხადს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ბახვი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის კორექტირებულ ვერსიას.

წერილს თან ერთვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ბახვი 2“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის 500 ლარიანი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- ბახვი 2 ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლარი, ნაბეჭდი ვერია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არა ტექნიკური რეზიუმე-1 ეგზემპლარი, ნაბეჭდი ვერსია;
- ჰესის ნაგებობების ტერიტორიების სიტუაციური სქემები;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დანართები, მათ შორის:
 - საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიშის გრაფიკული ნაწილი;
 - ეგზ-ს დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში;
 - სათავე ნაგებობების დატვირთვები;



- ჰიდრავლიკური გაანგარიშება;
- SLR-ის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება;
- SLR-ის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;
- ადგილობრივ კლიმატზე ზემოქმედების შეფასება;
- საინფორმაციო ბიულეტენი;
- საინფორმაციო ბუკლეტი;
- წავის პოპულაციის კვლევის ანგარიში;
- პროექტის ხარჯ სარგებლიანობის ანალიზი;
- ნარჩენების მართვის გეგმა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები;
- სპეციალური ტყით სარგებლობის ნებართვის დოკუმენტაცია;
- სამშენებლო ბანაკების ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტები
- მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- ბდ. ბახვისწყლის წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი;
- საპროექტო არეალში დამონტაჟებული ფოტოხაფანგებით მოპოვებული მასალა;
- ფუჭი ქანების სანაყაროების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტი.

პატივისცემით,

გიორგი აბრამიშვილი

დირექტორი

შპს „ბახვი“ 2

**ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ
„გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს 2022 წლის 4 ნოემბრის N21/6660 წერილში მოცემულ
შენიშვნებზე რეაგირების თაობაზე**

N	შენიშვნის შინაარსი	რეაგირება შენიშვნებზე
1	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საჰაერო 35 კვ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა. წარმოდგენილი არ არის ეგზ-ის საყრდენების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები, ასევე საყრდენები არ არის ასახული shp ფაილებში.	ბახვი 2 ჰესის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები მოცემულია გზშ-ს ანგარიშის 4.3.3.1. პარაგრაფში (იხილეთ ცხრილი 4.3.3.1.1.). შენიშვნის გათვალისწინებით საყრდენების განთავსების წერტილები შეტანილია SHP ფაილებში და თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიაში.
2	გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის, მე-4 ნაწილით განსაზღვრული საკითხი, კერძოდ „ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით“.	შენიშვნა გათვალისწინებულია: ფუჭი ქანების სანაყაროების მოსაწყობი ტერიტორიების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 3.8. ალტერნატიული ვარიანტების SHP ფაილები თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას .
3	სათანადოდ არ არის გათვალისწინებული N38 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შემდეგი საკითხი: „საქმიანობის განხორციელების ადგილი საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, საპროექტო ობიექტის ყველა შემადგენელი ელემენტების ერთიან shp ფაილებთან ერთად (შეტბორვის უბნის კონტურების მითითებით)“. ამასთან shp ფაილებში ასახული უნდა იქნეს საპროექტო ჰესის შეტბორვის კონტურები - საშუალო, მაქსიმალური და კატასტროფული;	შენიშვნა გათვალისწინებულია: საპროექტო არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები მოცემულია გზშ-ს ანგარიშის მე-4 პარაგრაფში, იხილეთ ცხრილი 4.1., ხოლო ჰესის კომუნიკაციების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები SHP ფაილების სახით თან ერთვის დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას.
4	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სადაწნეო მილსადენის დერეფნის ზოგიერთ მონაკვეთზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ (ადგილმდებარეობა, პარამეტრები, ტექნიკური პირობები, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება, გარემოს აღწერა და ა.შ.), მათ შორის ნაპირსამაგრი უბნების ადგილმდებარეობები ასახული უნდა იქნეს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებში;	შენიშვნა გათვალისწინებულია: იხილეთ გზშ-ს ანგარიში 4.4.7.
5	გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ბახვი 2ა ბანაკის ტერიტორიაზე საჭირო ტექნიკური წყლის	შენიშვნა გათვალისწინებულია:

<p>აღება მოხდება მდ. ბახვისწყლიდან, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-26988, Y-4639994.</p> <p>აღნიშნული კოორდინატებით ტერიტორია არ იდენტიფიცირდება და საჭიროებს დაზუსტებას.</p> <p>ასევე, დასაზუსტებელია ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები, კერძოდ: X-720776 Y- 4683739.</p>	<p>იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 4.4.8.</p>
--	---